



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა
არქიტექტურა (ინგლისურენოვანი)
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი

9-10 ივნისი 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი

21- ივლისი 2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	229275405
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქიტექტურა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	არქიტექტურის ბაკალავრი, Bachelor of Architecture ,1101
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული 21/02/2018, #35

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა იაშვილი, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ ხიმშიაშვილი, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

პროგრამის აკრედიტაციის პირობების შემოწმება მონიტორინგის გზით ცენტრის დირექტორის ბრძანების # 418977, 30/05/2020 შესაბამისად განხორციელდა. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (IBSU) არქიტექტურის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური მონიტორინგის პირობების შემოწმების გადაწყვეტილება, ეფუძნება აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობას 21/02/2018, #35. პროგრამა შედგება 240 კრედიტისაგან, რომელიც ძველი კლასიფიკატორის მიხედვით - არქიტექტურა 1101 - ანიჭებს სტუდენტს არქიტექტურის ბაკალავრის კვალიფიკაციას. მოცემულ მომენტში, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის თანახმად ინჟინერიის, წარმოების და მშენებლობის-07, არქიტექტურა და მშენებლობის-073 არქიტექტურის-0731.1.1 განიხილება. ამ ეტაპზე პროგრამის განმახორციელებლებს აქვთ უფლება ძველი სტანდარტით კვალიფიკაციის მინიჭების, თუმცა, უნდა იზრუნონ 2022 წლის 30 ნოემბრისთვის - სტანდარტის მისანიჭებელი კვალიფიკაციის დაზუსტებაზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

პროგრამის შემოწმება ცენტრის მიერ დაიგეგმა გეგმიური მონიტორინგის პირობებში. მონიტორინგის შემოწმების საფუძველია, აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობა პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში (IBSU) ვიზიტი არ განხორციელებულა, ვინაიდან, ქვეყანაში არსებული COVID 19 პანდემიასთან დაკავშირებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების № 418977, 30/05/2020 შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩეული კომუნიკაციის მეთოდით მონიტორინგის შემოწმებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეთანხმებით გადაწყდა დისტანციური თანამშრომლობის ფორმატი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის გაცნობის შემდგომ, 9 და 10 ივნისს შედგა Zoom-პლატფორმის

გამოყენებით ვიდეოკონფერენციები, სადაც მიმდინარეობდა პროგრამის ცვლილებების, აკადემიური პერსონალის და თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. კერძოდ:

- “არქიტექტურის” (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსების სილაბუსების;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის; CV-ების, რომელშიც მითითებულია ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი/ შესაბამისი აქტივობები, რითაც დასტურდება პერსონალის დარგობრივი კომპეტენციები.
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი საგნის/საგნების მითითებით.
- ინფორმაცია დარგობრივი სასწავლო კურსების განხორციელების სტუდიური სწავლების ფორმის შესახებ.
- სააკრედიტაციო პერიოდში პროგრამების შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზის დოკუმენტი;
- სააკრედიტაციო პერიოდში პროგრამაში შესული ცვლილებების შეტანის ამსახველი დოკუმენტი/დოკუმენტები.

პროგრამის მონიტორინგით აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შემოწმებისას, ძირითადი ყურადღება გაამახვილა იმ საკითხებზე, რომელთა შესახებ პირვანდელ აკრედიტაციის დასკვნაში იყო რეკომენდაციები გაწერილი და ასევე, საბჭოს მიერ მოცემულ მითითებებზე.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

შპს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (IBSU) არქიტექტურის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

ზოგადად პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის შესაბამის სტანდარტებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. კერძოდ:

ექსპერტთა გადაწყვეტილებით და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ამდენად, პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მეორე სტანდარტი ასევე შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან აღნიშნული სტანდარტის 2.1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.2 შესაბამისობაშია 2.3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.5 შესაბამისობაშია და 2.6 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მე-3 კომპონენტი არ შეფასდა

მე-4 განიხილებოდა 4.2 კომპონენტი- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მე-5 განიხილებოდა 5.1. კომპონენტი- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები.**

არ არის.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ამჟამად შედეგების ჩამონათვალი საკმაოდ ქოტურია, თუმცა, შეესაბამება აკრედიტაციისთვის წარმოდგენილ პროგრამასა და მის სილაბუსებს. სასურველია უფრო მკაფიოდ იყოს მორგებული ეს კომპონენტები პროგრამის მიზნებზე, რათა აბიტურიენტებმა განსაზღვრონ საკუთარი შესაძლებლობები, ხოლო დამსაქმებლებმა კი, სწორად შეარჩიონ კადრი კურსდამთავრებულთა შორის.
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორის თანახმად ინჟინერიის, წარმოების და მშენებლობის-07, არქიტექტურა და მშენებლობის-073 არქიტექტურის-0731.1.1 განიხილება, ვურჩევთ პროგრამის განმახორციელებლებს სამომავლოდ იზრუნონ მისანიჭებელი კვალიფიკაციის სტანდარტის ცვლილებების შესატყვისად.

- სასურველია სპეციალობის კურსებს დაემატოს არჩევითი დისციპლინები: არქიტექტურული ფოტოგრაფია ან/და პლასტიკა.
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ აღსანიშნავია ინგლისურენოვან პროგრამაზე, რომელზეც ძირითადად უცხოელი სტუდენტები სწავლობენ, ქართული ენა ისწავლება სპეციალური კურსით უცხოელთათვის.

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (IBSU) არქიტექტურის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული ცვლილებების შესახებ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს -არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. კერძოდ:

1. შეიცვალა საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და უცხო ენა (ინგლისური). ინგლისური ენის გამოცდის მინიმალური ზღვარია 50%+1.
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე.

2. პროფესიული ინგლისურის სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის B2 დონე და შესაბამისი ცვლილება შევიდა სასწავლო სილაბუსშიც.
3. პროგრამის განმახორციელებლები აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციით, ასევე დარგობრივი მახასიათებელის გათვალისწინებით სტუდიურ სწავლების ფორმაზე გადავიდნენ და შესაბამისი შემოქმედებითი სახელოსნოები/სტუდიები შექმნეს.
4. ლექტორების ცვლილებები: აკრედიტირებულ პროგრამაში არსებული 34 სასწავლო კურსიდან (უცხო ენის გარდა) მხოლოდ 5 მათგანში მოხდა ლექტორის ცვლილება, ხოლო 13 სასწავლო კურსში განხორციელებული ცვლილება არ შეეხო კურსის ძირითად ლექტორს.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გაცხადებული მისიაა მოამზადოს თეორიული და პრაქტიკული ცოდნით, ადამიანური ღირებულებებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური კურსდამთავრებულები, რომლებიც მოწოდებულები იქნებიან მუდმივად აიმაღლონ განათლების დონე, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ დემოკრატიულ სამოქალაქო საზოგადოებაში. უნივერსიტეტი აცნობიერებს საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას და მიზნად ისახავს, თავისი საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში. ამ მიზნით იგი უზრუნველყოფს უწყვეტი

განათლების პროგრამებისა და სერვისების მიწოდებას, ახალი ცოდნის შექმნა-გავრცელებასა და ჩართულია საზოგადოებრივი პოლიტიკის ფორმირების პროცესში. უნივერსიტეტი სამ ფაკულტეტს აერთიანებს: სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, სამართლის ფაკულტეტი და ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი, რომლებიც ახორციელებენ სწავლას საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე. პროგრამის განმახორციელებლის გადაწყვეტილებით არქიტექტურის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე. თავდაპირველი აკრედიტაციის დროს ექსპერტთა ჯგუფის შეკითხვას, ხომ არ იქნებოდა უპრიანი პროგრამა განხორციელებულიყო მაგალითად, განათლების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ადმინისტრაციამ უპასუხა, რომ მათ მიერ შერჩეული ფაკულტეტი უკეთაა მომზადებული ახალი პროგრამის მისაღებად. დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, პანდემიის პირობებში დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის უზრუნველსაყოფად, ეს მოსაზრება ამართლებს.

პროგრამის ავტორთა აზრით, უნივერსიტეტში სტუდენტების მიერ შეძენილი უნარჩვევები გულისხმობს საპროექტო არეალის მახასიათებლების განსაზღვრის, ესკიზებისა და არსებული სამშენებლო ნორმატივების გამოყენებით პროფესიონალური არქიტექტურული პროექტების კეთების უნარს, არქიტექტორის პროფესიისათვის აუცილებელი საფუძვლიანი თეორიული ცოდნითა და უნარჩვევებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას, რაც არის პროგრამის მიზანიც და იგი შეესაბამება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მისიას.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, პროგრამის მიზნები არის მიღწევადი აღნიშნული პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით, რომ კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა აქვთ დასაქმდნენ როგორც კერძო, ისე საჯარო ორგანიზაციაში არქიტექტურულ სექტორში (არქიტექტურულ-დიზაინერულ სტუდიებში, სამშენებლო კომპანიებში, უძრავი ქონების სააგენტოებში, მუნიციპალიტეტებში), სხვადასხვა ბიზნეს გაერთიანებებსა თუ საჯარო დაწესებულებებში. დასაქმების სფერო შეიძლება იყოს: არქიტექტურული პროექტირება, ქალაქგეგმარება,

კონსულტაცია, პროექტის მართვა და სხვა მონათესავე მიმართულებები.

არქიტექტურის საგანმანათლებლო ინგლისურენოვანი პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, რომელთა სტრუქტურა აკმაყოფილებს შესაბამის სტანდარტებს. მასში სავალდებულო და დამატებითი ან/და არჩევითი კომპონენტების თანაფარდობაა 135/105 კრედიტის ოდენობით, რაც, პროგრამის ავტორთა აზრით, სტუდენტს პროფესიული ჩამოყალიბების, ზრდის და განვითარების საშუალებას აძლევს. ამით, მას შუძლია თვითონ შექმნას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საკუთარი პროფილი, პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე.

საგულისხმოა, რომ გათვალისწინებულ იქნა წინა აკრედიტაციის დროს ექსპერტთა ჯგუფის რჩევები: 1. პროგრამის ავტორებმა დააზუსტონ შეეხება თუ არა ენის ტესტირების მოთხოვნა მხოლოდ უცხოელ სტუდენტებს, რომლებსაც არა აქვთ გასავლელი ეროვნული გამოცდები, და ასევე განუსაზღვრონ მათ სასტარტო ინგლისური ენის ცოდნის დონე B1-ზე? და ამჯერად პროფესიული ინგლისურის სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის B2 დონე და შესაბამისი ცვლილება შევიდა სასწავლო სილაბუსშიც (დანართი ცვლილებების შესახებ);

2. სასურველია საპროექტო კლასები ჩანაცვლდეს სწავლების სტუდიური ფორმით - გათვალისწინებულ იქნა, რაც არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებლის 4.1 პუნქტით განისაზღვრა - სტუდიური მუშაობის მეთოდი (არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებელი უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები).

აკრედიტაციის ჯგუფის აზრით, წარმოდგენილი პროგრამა მისი შინაარსით სასწავლო კურსებით, სწავლების მეთოდებით და კრედიტების მოცულობით უზრუნველყოფს გაცხადებული სწავლის შედეგების მიღწევას კურსების შინაარსის, კრედიტების რაოდენობისა და სწავლების მეთოდების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა
- უსდ მისია
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის განმახორციელებელთა აზრით, მოწოდებული თეორიული ცოდნით, მისი ღრმად გააზრებით, უზრუნველყოფს მეცნიერულად დადასტურებული გადაწყვეტილებების მიღებას, რაც აუცილებელია თანამედროვე, ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების სწავლის შემდგომი საფეხურის განათლების მისაღებად. შესაბამისად, პროგრამის კურსდამთავრებულთა პრაქტიკული უნარჩვევები უზრუნველყოფენ, დასაქმების შემთხვევაში, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების უნარს, კომუნიკაციის უნარს, კოლეგებთან კომუნიკაციის უნარს და უწყვეტი განათლებისათვის აუცილებელ, დამოუკიდებელი მუშაობის უნარს. პროგრამის სწავლის შედეგების და ამ შედეგებისათვის რელევანტური მეთოდების დანერგვის მცდელობას აღწერს ის განხორციელებული ცვლილებები, რომელიც მოცემულია დამადასტურებელი ოქმებით ცვლილებების შესახებ. მაგალითად, ისევ სტუდიურ სწავლის ფორმას მოვიყვანთ, სადაც პროგრამის კოორდინატორის მიერ ხაზი გაესვა სტუდიური სწავლების დადებით როლს არქიტექტურული განათლების პროცესში და წარმოდგენილი აქვთ ფოტოდოკუმენტური მასალა ინფრასტრუქტურის შემოქმედებითი პროცესისათვის ადაპტაციისა.

არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოთვლილია იმ ასპექტის გამოყენებით, რომელთა თანახმადაც, კურსდამთავრებულები მიიღებენ „ფართო ცოდნას“, ან მათ „უნდა შეეძლოთ“ მიიღონ ეს ცოდნა. ეს სია ვრცელია, მაგრამ ყველა შედეგი არაა გაზომვადი. შედეგების საერთო სიიდან ზოგო მათგანი უკავშირდება ზოგადი განათლებისა და ეთიკის ფართო ცოდნას; ზოგში ხაზგასმულია არქიტექტურისათვის საჭირო სხვადასხვა შედეგი, ხოლო მენეჯმენტი, გადაწყვეტილების მიღებისა და კომუნიკაციის უნარებში ხაზგასმულია, (მაგ: შეეძლება გუნდში თანამშრომლობასა და ჩართულობაზე დამყარებული ეფექტური მოქმედება და პროცესების მართვა) თუმცა სასწავლო პროგრამაში ნაკლებადაა მენეჯმენტთან დაკავშირებული საგნები. ან მაგალითად დასკვნის უნარში- როგორ ან რით იზომება ”უახლესი კონსტრუქციების პროექტირებისათვის აუცილებელ ინტელექტუალურ და ტექნიკურ თვისებებთან მიმართებაში კომპეტენციის, შემოქმედებითობისა და კრიტიკული ანალიზის უნარი”; შესაბამისად, ამჟამად შედეგების ჩამონათვალი საკმაოდ ქაოტურია, თუმცა შეესაბამება აკრედიტაციისთვის წარმოდგენილ პროგრამასა და მის სილაბუსებს. შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს კიდევ არქიტექტურის დარგობრივ მახასიათებლებს, აკრედიტაციის საბჭოს კრიტერიუმებს, მაგრამ დაზუსტებით ამაზე საუბარი შესაძლებელი იქნება პროგრამის კურსდამთავრებულების რეალური შედეგების შემდგომ. საგულისხმოა, რომ პროგრამას ჯერ არ ჰყავს კურსდამთავრებული.

არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ხელშეწყობისათვის გაფორმებულია მემორანდუმი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან, შპს „იქს ვაი ზეტ არქიტექტსთან“ და შპს „იქს ვაი ზეტ ბილდერსთან“. უნივერსიტეტსა და აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა პროგრამის განვითარების, სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფისა და კურსდამთავრებულების მომავალი დასაქმების გარანტიაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა;
- სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;

რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ამჟამად შედეგების ჩამონათვალი საკმაოდ ქაოტურია, თუმცა შეესაბამება აკრედიტაციისთვის წარმოდგენილ პროგრამასა და მის სილაბუსებს. სასურველია უფრო მკაფიოდ იყოს მორგებული ეს კომპონენტები პროგრამის მიზნებზე, რათა აბიტურიენტებმა განსაზღვრონ საკუთარი შესაძლებლობები, ხოლო დამსაქმებლებმა კი- სწორად შეარჩიონ კადრი კურსდამთავრებულთა შორის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	•			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობის თანახმად „არქიტექტურის ბაკალავრი“

შეიძლება გახდეს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხული სტუდენტი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და უცხო ენა (ინგლისური). ინგლისური ენის გამოცდის მინიმალური ზღვარია 50%+1.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე (უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის). უსდ-ში ამჯერად, პროფესიული ინგლისურის სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის B2 დონე და შესაბამისი ცვლილება შევიდა სასწავლო სილაბუსშიც.

პროგრამის სპეციფიკა დიდწილად მისი პროფილითაა განპირობებული, პროგრამა ანიჭებს არქიტექტურის ბაკალავრის კვალიფიკაციას. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ცნობადობის და პოპულარიზაციის მიზნით უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შექმნილი აქვს სამუშაო ჯგუფები, რომლებიც წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით აწყობენ გასვლით საინფორმაციო შეხვედრებს აბიტურიენტებთან, აცნობენ მათ ინფორმაციას პროგრამების და მათზე დაშვების წინაპირობების შესახებ. შხსუ-ის მიერ ყოველ წელს ტარდება „ღია კარის დღე“ ინფორმაციის გავრცელების მიზნით, რომლის ფარგლებში ბიზნესისა და ტენოლოგიების ფაკულტეტი აქტიურად წარადგენს სტუდენტთა მიერ შესრულებულ ნამუშევრებს, აწყობს გამოფენებსა და ჩვენებებს, ავრცელებს საინფორმაციო მასალას, რაც ხელს უწყობს პროგრამის ცნობადობის ამაღლებას და დაინტერესებული აბიტურიენტების მოზიდვას პროგრამაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა „არქიტექტურა“
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„არქიტექტურის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა შედგენილია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესაბამისად. პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი, რომელიც მოიცავს სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს - 110 კრედიტი, პრაქტიკას - 5 კრედიტი; საბაკალავრო ნაშრომს - 10 კრედიტი; სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებს - 20 კრედიტი; დამატებით საგანმანათლებლო პროგრამას - 60 კრედიტი; აკადემიურ წერას - 5 კრედიტი; ინფორმაციულ ტექნოლოგიებს - 5 კრედიტი და უცხო ენას - 15 კრედიტი. სასწავლო პროცესი გაწერილია შემდეგი სახით: სემესტრი 19 კვირა, სასწავლო პროცესი 15 კვირა, შუალედური გამოცდა VIII კვირა, დასკვნითი გამოცდა XVII-XIX კვირა. მისანიჭებელი კვალიფიკაცია – „არქიტექტურის ბაკალავრი“ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. ამ ეტაპზე პროგრამის განმახორციელებლებს აქვთ უფლება ძველი სტანდარტით კვალიფიკაციის მინიჭების არქიტექტურის ბაკალავრი-1101, თუმცა 2022 წლის 30 ნოემბრისთვის უნდა იზრუნონ სტანდარტის მისანიჭებელი კვალიფიკაციის დაზუსტებაზე. მოცემულ მომენტში, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის თანახმად, ფართო სფეროა ინჟინერიის, წარმოების და მშენებლობის-07, ვიწრო სფერო არქიტექტურა და მშენებლობის-073 არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება-0731 დეტალური სფეროს ქვეშ განიხილება. პროგრამის კომპონენტები, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სტუდენტებში

უზრუნველყოფს აუცილებელი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების განვითარებას არქიტექტურული დაგეგმარებისა და პროექტირების საკითხებსა და შენობათა ტექნოლოგიების, არქიტექტურული ფიზიკის პრინციპების, თეორიისა და უახლესი კვლევითი მიღწევების ცოდნაში.

სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია პრაქტიკა, რომელიც ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ სხვადასხვა კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

ამდენად, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, ექსპერტების აზრით, თანამედროვე მაღალი დონის არქიტექტორის აღსაზრდელად, მათი სივრცით-კომპოზიციური აზროვნების ჩამოსაყალიბებლად, სასურველია სპეციალობის კურსებს დაემატოს არჩევითი დისციპლინები: არქიტექტურული ფოტოგრაფია ან/და პლასტიკა. ცენტრის დირექტორის მიერ 20 მაისს დამტკიცდა არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებელი, რომელიც ამოქმედდება 2020 წლის 1 აგვისტოდან. დარგობრივი კომისიის სამუშაო ჯგუფში ჩართული იყო მიმდინარე პროგრამის ხელმძღვანელიც. მიუხედავად იმისა, რომ მახასიათებელი ამოქმედდება 1 აგვისტოდან, ამ ეტაპზე იკვეთება თავსებადობა დარგობრივ მახასიათებელთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა „არქიტექტურა“
- თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სწავლის სფეროების კლასიფიკატორის თანახმად, ფართო სფერო ინჟინერიის, წარმოების და მშენებლობის-07, ვიწრო სფერო არქიტექტურა და მშენებლობის-073, დეტალური სფერო არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარების-0731 ქვეშ განიხილება, ვურჩევთ პროგრამის განმახორციელებლებს სამომავლოდ იზრუნონ მისანიჭებელი კვალიფიკაციის სტანდარტის ცვლილებების შესატყვისად.
- სასურველია სპეციალობის კურსებს დაემატოს არჩევითი დისციპლინები: არქიტექტურული ფოტოგრაფია ან/და პლასტიკა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსები ორიენტირებულია ზოგადად თეორიული ცოდნის შეძენაზე, დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე და პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენებაზე. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მოცულობა ინდივიდუალურადაა განსაზღვრული, ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას, მის თეორიულ თუ პრაქტიკულ ხასიათს. სასწავლო კურსების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. საუნივერსიტეტო დისციპლინები (უცხო ენა, აკადემიური წერა, ინფორმაციული ტექნოლოგიები) უზრუნველყოფენ სტუდენტთა ზოგად განათლებას.

პროგრამით გათვალისწინებულია 5 (სულ 125 სთ, საკონტაქტო 47 სთ) კრედიტიანი სასწავლო კურსები, საბაკალავრო ნაშრომი კი 10 კრედიტი.

კრედიტის მოცულობაში გათვალისწინებულია აუდიტორიული, საგამოცდო და დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილი საათები. ყველა სასწავლო კურსის აუდიტორიული დატვირთვის მოცულობა რეგულირდება შესაბამისი ნორმატივების მიხედვით. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

კურსების სილაბუსების სტრუქტურა კარგად შედგენილი და სტუდენტზე

ორიენტირებულია, რადგან მოცემულია ყველა საჭირო ინფორმაცია, მაგალითად კურსის დასახელება, კურსის ტიპი, კრედიტების რაოდენობა კურსის ხელმძღვანელი, მიზანი, ფორმატი, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლება-სწავლის მეთოდები, კურსის შინაარსი, ტრენინგი და სხვა რესურსები.

რაც შეეხება პროგრამის სტრუქტურას, საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ძირითადად 5 და 10 კრედიტს, რომელთა განაწილებაც ხდება კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების მიხედვით. საკონტაქტო საათები გადანაწილებულია ლოგიკურად, რაც ნიშნავს, რომ ისინი უფრო მეტია იმ კურსებში, რომლებსაც მეტი საკონტაქტო დრო სჭირდება, ხოლო ნაკლებია დამოუკიდებელ სამუშაოებზე ორიენტირებული კურსებში.

როგორც წინა აკრედიტაციის შედეგებიდან გამოვლინდა, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს გააჩნია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამართულ მუშაობას: პროექტორებით და სხვა სასწავლო რესურსით აღჭურვილი აუდიტორიები და ლაბორატორიები; უწყვეტი ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრი; ინდივიდუალური სახაზავი მაგიდებით აღჭურვილი სტუდია; საკონფერენციო და სასემინარო დარბაზები; უნივერსიტეტის ელექტორნულ ბაზაში (Smart) სასწავლო კურსების გახსნისას ლექტორების მიერ განთავსებული სასწავლო თემატიკის შესაბამისი სლაიდები; პრაქტიკული მეცადინეობებისათვის საჭირო მასალების შესანახი ინდივიდუალური კარადები;

ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ დასაფასებელია ის გარემოება, რომ ინგლისურენოვან პროგრამაზე, რომელზეც ძირითადად უცხოელი სტუდენტები სწავლობენ, ქართული ენა ისწავლება სპეციალური კურსით უცხოელთათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ აღსანიშნავია ინგლისურენოვან პროგრამაზე,

რომელზეც ძირითადად უცხოელი სტუდენტები სწავლობენ, ქართული ენა ისწავლება სპეციალური კურსით უცხოელთათვის.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან+ ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
